

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(ათასი ლარი)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	350	289
არამატერიალური აქტივები	6	9	9
გაცემული სესხები	7	136	101
		495	399
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	3	76	13
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		9	16
საგადასახადო აქტივი	10		15
მარაგები	4	1,387	1,504
მისაღები პროცენტები	7		-
		1,472	1,548
მთლიანი აქტივები		1,967	1,947
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		7	7
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		945	350
		952	357
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	8	-	293
		-	293
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	8	-	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	555	825
მიღებული ავანსები		83	117
საგადასახადო ვალდებულებები	10	16	
გადასახდელი პროცენტი	8	361	355
		1,015	1,297
მთლიანი ვალდებულებები		1,015	1,590
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		1,967	1,947

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 2023 წლის 31 აგვისტოს
 გიორგი სურგულაძე
 გენერალური დირექტორი

მოგება ზარალისა და სრული შემოსავლების ანგარიშგება


(ათასი ლარი)

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	შენიშვნები	31.11.2023	31.12.2022
ამონაგები	11	4,529	3,929
თვითღირებულება		(2,110)	(2,213)
საერთო მოგება		2,419	1,716
სხვა შემოსავლები	12	55	142
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	13	(1,436)	(1,097)
მიწოდების დანახარჯები	14	(513)	(344)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	15	75	186
საოპერაციო მოგება		600	604
ფინანსური შემოსავალი	7	9	4
ფინანსური ხარჯი	8	(14)	(43)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(5)	(38)
მოგება დაბეგვრამდე		595	565
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		595	565

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 2023 წლის 31 აგვისტოს

გიორგი სურგულაძე

გენერალური დირექტორი



ფინანსური ანგარიშგება შპს კმ ჯორჯია

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
მოგება ზარალისა და სრული შემოსავლების ანგარიშგება.....	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	5
1. ზოგადი ინფორმაცია.....	5
2. მომზადების საფუძველი და სააღრიხვო პოლიტიკა	5
3. ფული და ფულის ექვივალენტები	9
3.1. ფული და ფულის ექვივალენტები ვალუტის მიხედვით	10
4. მარაგები	10
5. ძირითადი საშუალებები	10
6. არამატერიალური აქტივები	11
7. გაცემული სესხები	11
8. მიღებული სესხები	11
9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	12
10. საგდასახადო ვალდებულებები	12
11. ამონაგები	12
12. სხვა შემოსავლები	13
13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	13
14. მიწოდების ხარჯები	14
15. კურშთა შორის სხვაობა	14
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	14

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(ათასი ლარი)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	შენიშვნები	31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	350	289
არამატერიალური აქტივები	6	9	9
გაცემული სესხები	7	136	101
		495	399
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	3	76	13
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		9	16
საგადასახადო აქტივი	10		15
მარაგები	4	1,387	1,504
მისაღები პროცენტები	7		-
		1,472	1,548
მთლიანი აქტივები		1,967	1,947
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		7	7
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		945	350
		952	357
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	8	-	293
		-	293
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	8	-	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	555	825
მიღებული ავანსები		83	117
საგადასახადო ვალდებულებები	10	16	
გადასახდელი პროცენტი	8	361	355
		1,015	1,297
მთლიანი ვალდებულებები		1,015	1,590
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		1,967	1,947

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 2023 წლის 31 აგვისტოს

გიორგი სურგულაძე

გენერალური დირექტორი

მოგება ზარალისა და სრული შემოსავლების ანგარიშგება

(ათასი ლარი)

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	შენიშვნები	31.12.2023	31.12.2022
ამონაგები	11	4,529	3,929
თვითღირებულება		(2,110)	(2,213)
საერთო მოგება		2,419	1,716
სხვა შემოსავლები	12	55	142
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	13	(1,436)	(1,097)
მიწოდების დანახარჯები	14	(513)	(344)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	15	75	186
საოპერაციო მოგება		600	604
ფინანსური შემოსავალი	7	9	4
ფინანსური ხარჯი	8	(14)	(43)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(5)	(38)
მოგება დაბეგვრამდე		595	565
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		595	565

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 2023 წლის 31 აგვისტოს

გიორგი სურგულაძე

გენერალური დირექტორი

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს კმ ჯორჯია, რეგისტრირებულია საქართველოში ს/კ:402036836. კომპანიის იურიდიული მისამართია: თბილისი თამარ მეფის N 2. ა. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 402036836. კომპანიის მეწილეები არიან შემდეგი პირები:

შპს გაერთიანებული საფინანსო ჯგუფი (ს/კ:205022278)

ფ/პ კახა გიუაშვილი (პ/ნ:01024006334)

კომპანიის ძირითადი საქმიანობის სფერო: კერამიკული ფილებით საცალო და საბითუმო ვაჭრობა. “KERAMA MARAZZI” – ის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში.

იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს დირექტორი გიორგი სურგულაძე (პ/ნ: 01026005904)

2. მომზადების საფუძველი და სააღრიხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგებების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასი) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (GEL) წარმოდგენილი რიცხვები მოცემულია ათას ლარებში.

ანგარიშგების წარდგენის მომენტში საწარმო მიიჩნევა ფუნქციონირებად საწარმოდ, სამომავლოდ კომპანიის ხელმძღვანელობას განზრახული არ აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებული არ არის რომ ასე მოიქცეს.

ამონაგების აღიარება

საქონლის რეალიზაციიდან ამონაგები აღიარდება მაშინ, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი და გადაეცემა საკუთრების უფლება. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა

მოგების გადასახადი

2017 წლის საქართველოს საგადასახადო კოდექსის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით. იმ შემთხვევაში თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ისეთი ტრანზაქციები რომელიც დაკავშირებულია ინდივიდუალურ პირებთან, მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). დაიბეგრება მოგების გადასახადით 15/85 პროპორციით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც გამოიყენება მომსახურების გასაწევად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია აკუმულირებული ცვეთით შემცირებული ისტორილი ღირებულებით. ისტორიული ღირებულება მოიცავს ამ აქტივის შეძენასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს. შეძენის შემდგომი დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას ან აღიარდება ცალკე აქტივად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია რომ მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ჯგუფი მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლოა ამ აქტივის ღირებულების რეალური შეფასება. აქტივების მიმდინარე სარემონტო და შენახვის დანახარჯები აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში მათი გაწევის პერიოდების მიხედვით. ცვეთა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალების ცვეთის დარიცხვა წარმოებს მათი ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში

შენობა ნაგებობები	-	50 წელი
კომპიუტერები და საკომუნიკაციო	-	5 წელი
აღჭურვილობა		
საოფისე აღჭურვილობა	-	5 წელი
სატრანსპორტო სასაშუალებები	-	5 წელი
სხვა აქტივები	-	5 წელი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთს ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივი

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას რომელიც ასახულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. მისი ამორტიზება ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით, ამორტიზაცია ერიცხება ნაშთზე, თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ხდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების მაჩვენებელი, ხდება აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება და შედარება მის საბალანსო ღირებულებასთან. იმ შემთხვევაში თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება მცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი აღიარდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში. ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემა ხდება მოიჯარესთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარად. ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ მიღწეულ იქნეს მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები გამოაკლდება მოგებისა და ზარალის განსაზღვრისას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის. საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო ვადა აღემატება სტანდარტულ საკრედიტო ვადას, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება უნდა გადაისინჯოს, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მოთხოვნები არ არის ამოღებადი. იმ შემთხვევაში თუ ასეთი მტკიცებულება არსებობს, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება. უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხი და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში

უცხოური ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2023 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.6894 ლარს, ერთი ევროსათვის შეადგენს 2.9753 ლარს და ერთი რუსული რუბლისთვის შეადგენს 0.029916 ლარს. 2022 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.7020 ლარი, ერთი ევრო 2.8844 ლარი და ერთი რუსული რუბლი 0.03677 ლარი. არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილი ოპერაციის განხორციელების დღის კურსით) გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

3. ფული და ფულის ექვივალენტები

(ათასი ლარი)	2023 წლის 31 დეკემბერი	შენიშვნა	2022 წლის 31 დეკემბერი
ნაღდი ფული საღაროში	1	3.1	1
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	25	3.1	10
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	49	3.1	2
	76		13

3.1. ფული და ფულის ექვივალენტები ვალუტის მიხედვით

(ათასი ლარი)	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ქართული ლარი (GEL)	26	10
ამერიკული დოლარი (USD)	49	2
რუსული რუბლი (RUR)	0	0
ევრო (EUR)	0	0
	76	13

4. მარაგები

(ათასი ლარი)	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
კერამიკული ფილები	1,383	1,501
სხვა მარაგები	4	2
	1,387	1,504

არცერთი მარაგი არ არის უზრუნველყოფილი ვალდებულებისთვის

5. ძირითადი საშუალებები

(ათასი ლარი)	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სტენდები	იჯარით არებული შენობის ქეტილმოწყობა	სულ
ისტორიული ღირებულება	-					
2022 წლის 31 დეკემბერი	42	31	18	207	132	431
შემოსვლა	5	6	-	21	72	104
გასვლები						-
2023 წლის 31 დეკემბერი	47	38	18	228	204	535
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება						
2022 წლის 31 დეკემბერი	18	8	5	95	16	142
პერიოდის ცვეთა	5	4	3	13	17	43
2023 წლის 31 დეკემბერი	23	12	8	109	33	185
ნარჩენი ღირებულება						
ნარჩენი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	24	23	13	112	116	289
ნარჩენი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	24	26	10	120	171	350

არცერთ ძირითად საშუალებას არ არის დატვირთული იპოთეკით.

6. არამატერიალური აქტივი

(ათსი ლარი)	პროგრამული უზრუნველყოფა
<i>ისტორიული ღირებულება</i>	
2022 წლის 31 დეკემბერი	16
შემოსვლა	1
2023 წლის 31 დეკემბერი	17
<i>დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება</i>	
2022 წლის 31 დეკემბერი	7
პერიოდის ცვეთა	1
2023 წლის 31 დეკემბერი	8
<i>ნარჩენი ღირებულება</i>	
ნარჩენი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9
ნარჩენი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9

7. გაცემული სესხები

(ათსი ლარი)	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სადეპოზიტო სესხი	136	101
მისაღები პროცენტი	-	-
	136	101

სადეპოზიტო სესხი დაბანდებულია მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში. დეპოზიტი დაბანდებულია ლარში საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრულია ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი და გამოქვეყნებული საპროცენტო განაკვეთებით.

8. მიღებული სესხები

(ათსი ლარი)	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
მოკლევადიანი სესხები	-	-
გრძელვადიანი სესხები	(0)	355
გადასახდელი პროცენტები	361	293
	361	648

გრძელვადიანი სესხი აღებულია ფიზიკური პირისგან ლარში და დოლარში 3 იდან 5 წლამდე ვადით წლიური 8% . საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრულია ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი და გამოქვეყნებული საპროცენტო განაკვეთებით. 2023 წელს სესხი სრულად დაიფარა, გადასახდელი დარჩა სესხზე დარიცხული %.

9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

(ათსი ლარი)	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	525	805
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები ფიზიკურ პირებთან	29	0
გადასახდელი ხელფასები	1	19
	555	825

10. საგადასახადო ვალდებულებები

(ათსი ლარი)	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
გადასახდელი მოგების გადასახადი	0	0
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	7	5
გადასახდელი დღგ	(11)	(9)
გადახდილი დღგ	0	(21)
ქონების გადასახადი	(0)	1
საბიუჯეტო ანგარიში ხაზინა	10	5
საპენსიო გადასახადი	9	4
	16	(15)

11. ამონაგები

(ათსი ლარი)	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი რეალიზაციიდან	4,633	3,979
გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა	(104)	(49)
	4,529	3,929

რიგ შემთხვევებში პარტნიორებთან მიწოდება ხდება შემდგომი გადახდის პირობით და როდესაც პარტნიორი ვერ ახორციელებს ამ საქონლის გაყიდვას ხდება საქონლის უკან დაბრუნება, სწორედ აქედანაა გამოწვეული 2022 წელს 49 ათასი ლარის უკან მობრუნება რომლითაც შემცირებულია შემოსავალი რეალიზაციიდან. აღნიშნული მაჩვენებელი 2023 წელს გაზრდილია და გახლდათ 104 ათასი, აღნიშნული მაჩვენებლის ზრდა გამოიწვია რეალიზაციის ზრდამ.

12. სხვა შემოსავლები

კომპანიამ თავისი ერთერთი მხვილი პარტნიორისგან ხელშეკრულების თანახმად ბონუსის სახით როგორც „ქეშბეკი“ შეძენებიდან მიიღო 2 900 000 რუსული რუბლი, გარდა ამისა პერიოდულად უსასყიდლოდ იღებდა ბროშურებს და საინფორმაციო გაზეთებს, სწორედ ამ თანხებმა წარმოქმნა კომპანიაში სხვა შემოსულობა 2022 წელს. 2023 წელს მსგავსი შემოსულობა ბონუსის სახით შეადგენდა 1742 0000 რუბლს.

(ათსი ლარი)	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
განსაკუთრებული შემოსავლები	4	3
შემოსავალი ბონუსის სახით მომწოდებლისგან	51	139
	55	142

13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

(ათსი ლარი)	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
შრომის ანაზღაურება	884	625
კომუნიკაციის ხარჯები	9	7
რემონტის დანახარჯები	-	-
ცვეთა და ამორტიზაცია	45	35
ბანკის საკომისიო	118	33
საკანცელარიო ხარჯი	1	2
სამეურნეო ხარჯი	12	7
საექსპლუატაციო ხარჯი	22	29
კომუნალური ხარჯები	49	49
წარმომადგენლობითი ხარჯი	16	11
მივლინების ხარჯები	15	25
იჯარის ხარჯი	153	153
სხვა ხარჯები	58	42
მარაგების გადაფასების ხარჯი	48	-
საეჭვო მოთხოვნების დანახარჯები	7	80
	1,436	1,097

14. მიწოდების ხარჯები

(ათსი ლარი)	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
რეკლამის ხარჯები	59	46
შრომის ანაზღ. და საკომისიო გასამრჯელო	282	214
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	62	47
მიწოდების სხვა ხარჯები	111	37
	513	344

15. კურსთა შორის სხვაობა

(ათსი ლარი)	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან	272	597
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	(196)	(411)
	75	186

მიმინარე წელს კურსის გავლენა ფინანსურ მოგებაზე შემცირებულია წინა წელთან შედარებით.

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებას.